2017-2021 წლებში შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის საქართველოს პროგრამების სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლის დაგეგმვა

შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ინვესტიცია - დღემდე

კომპონენტი	ხელმოწერით	ნაკისრი ვალდებულება	ანაზღაურება
აივ/შიდსი	US$ 85,013,942	US$ 73,814,936	US$ 68,798,509
ტუბერკულოზი	US$ 39,656,954	US$ 38,887,909	US$ 38,174,404
მალარია	US$ 3,500,710	US$ 3,500,710	US$ 3,500,710
ჯამი	US$ 128,171,605	US$ 116,203,555	US$ 110,473.623

2013 — დკსჯეც შეირჩა გლობალური ფონდის ძირითად მიმღებად.

2014 — სახელმწიფო პროგრამებთან მჭიდრო კოორდინაციით ახორციელებს შიდსისა და ტუბერკულოზის მართვის უმნიშვნელოვანეს პროგრამებს.

2016 — ტუბერკულოზის მართვის 2016-2020 წლების და შიდსთან ბრძოლის 2016-2018 წლების სტრატეგიები დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ.

2016 — საქართველოში დაიწყო გლობალური ფონდის დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში მხარდაჭერილი პროგრამები ჯამური ბიუჯეტით 28.7 მილიონი აშშ დოლარი.

64% აივ/შიდსი

33% ტუბერკულოზი

3% მალარია

აივ/შიდსის პროგრამის ამოცანები

1. სერვისებით მოცვისა და პრევენციის ეფექტიანობის გაუმჯობესება, აივ ინფექციის დროულად გამოვლენა და ინფიცირებულის მკურნალობისა და ზრუნვის სერვისებში ჩართვას;
2. აივ ინფიცირებულთა მკურნალობის გამოსავლის გაუმჯობესება ხარისხიანი მკურნალობის, ზრუნვისა და მხარდაჭერის სერვისების საყოველთაო ხელმისაწვდომობის გზით;
3. ეპიდემიაზე მძლავრი პასუხის მდგრადობის უზრუნველყოფა ხელისუფლების ვალდებულების გაძლიერების, საკანონმდებლო და სამოქმედო გარემოს შექმნის და სამოქალაქო საზოგადოების უფრო ფართო ჩართულობის გზით.

ტუბერკულოზის პროგრამის ამოცანები

1. ადრეულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის;
2. ხარისხიან მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის პაციენტის სათანადო მხარდაჭერით;
3. ხელშემწყობი გარემოს და სისტემების შექმნა ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის მიზნით;
4. ჯანდაცვის სისტემის საერთო ფუნქციების გაძლიერება ტუბერკულოზის და აივ/შიდსის კონტროლისთვის.

აივ/შიდსის პროგრამის მიღწევები

- 3044 ადამიანი აივ/შიდსის მკურნალობაზე;
- 34864 ადამიანს მიეწოდა ზიანის შემცირების მომსახურება;
- 22099 ადამიანს ჩაუტარდა აივ კონსულტირება და ტესტირება;
- 1439 ადამიანმა ისარგებლა ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით.

ტუბერკულოზის პროგრამის მიღწევები

- 3477 ადამიანი ჩაერთო ტბ მკურნალობაზე;
- პაციენტების 85%-მა წარმატებით დაასრულა ტბ მკურნალობა;
- 18000-მდე ადამიანს ჩაუტარდა ტბ სადიაგნოსტიკო ტესტირება;
- 3813 ტბ პაციენტმა მიიღო ფულადი წახალისება.

პროგრამების ფინანსური დანაწილება სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით





პროგრამების მდგრადობა და გარდამავალი პერიოდი